ოქმი:**ო31.31213561**
თარიღი:**22/12/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N21

ქ. ლანჩხუთი

16. 12. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კახა კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე.
საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის

შემოსავლების საკასო შესრულების ანალიზის შედეგად მიზანშეწოლილია შემოსავლების (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) ცალკეული სახეების კორექტირება, კერძოდ: სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა გაიზარდოს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 90,0 ათასი ლარით; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 600,0 ათასი ლარით; ბუნებრივი მოსაკრებლის გეგმა შემცირდეს 67,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 83,0 ათასი ლარით; მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტით, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავლის გეგმა გაიზარდოს 7,0 ათასი ლარით,; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავლის გეგმა შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 10,0 ლარით; ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავლის გეგმა გაიზარდოს 115,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 2862,74 ათასი ლარით.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 ნოემბრის N1985 განკარგულებით შესული ცვლილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით დამატებით გამოეყო 850000 ლარი. აქედან: აცანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციაზე უნდა მიიმართოს 127104 ლარი, სუფსის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე-89967 ლარი, გზების მოხრეშვასა და სასტუმრო ლაშთანთან წყლის კოლექტორის მოწყობაზე მიიმართოს 209952 ლარი, მრავალბინიანი სახლის და საცხოვრებელი სახლების სახურავის მასალების შეძენაზე და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დამწვარი სახლის რეაბლიტაციაზე მიიმართოს 422977 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე 200236,53 ლარი მიიმართოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის.

ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი წერილების განხილვის შედეგად უნდა განხორციელდეს: ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ წყლის სისტემის ექსპლოატაციის ოფისის მუხლის 2000 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის 3500 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა- პატრონობის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების 8500 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის არაფინანსური აქტივების მუხლის 4000 ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა -პატრონობის მუხლის 18400 ლარით, სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ოფისის მუხლის 2400 ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის შტატით მომუშავეთა ანაზღაურების 5500 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლის 5000 ლარით ხარჯების შემცირების შედეგად გაიზარდოს მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 1500 ლარით, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1400 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის შტატით მომუშავეთა ანაზრაურება 4000 ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 17200 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და მოვლა -შენახვის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 3200 ლარით, ოფისის მუხლი 1400 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების მუხლი 3500 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების ოფისის მუხლი 7300 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 9800 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ შრომის ანაზღაურების მუხლის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით. ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 2452 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 2452 ლარით. ამასთან, დამატებით გამოეყოს 15000 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლში საახალწლო ღონისძიების ორგანიზების ჩატარებისათვის. ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 15000 ლარით ზრდის ხარჯზე.

ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლა“-ს სხვა ხარჯების მუხლი შეუმცირდეს 3650 ლარით, შრომის ანაზღაურების მუხლის 13800 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 1200 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 16250 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური უზრუნველყოფის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 5000 ლარით (სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის).

სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს პროგრამებს შორის შიდა მონაცვლეობა, კერძოდ: „შშმ

პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 16) 10000 (ათი ათასი) ლარით, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 02) 3600(სამი ათას ექვსასი) ლარით, „ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის “ (პროგრამის კოდი 06 02 08) 3900 (სამიათასცხრაასი) ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 01) 9570 (ცხრაათასხუთასსამოცდაათი) ლარით, „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 09) 8300 (რვაათასსამასი) ლარით, „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის”(პროგრამის კოდი 06 02 17) 8300 (რვაათასსამასი) ლარით,„გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 18) 2000(ორიათასი) ლარით, „კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამის” 3000 (სამიათასი) ლარით, „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის 15730(თხუთმეტიათასშვიდასოცდაათი) ლარით შემცირების ხარჯზე-4000 (ოთხიათასი) ლარით გაიზარდოს „კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა; 2000(ორი ათასი) ლარით გაიზარდოს „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა“; 1000 (ათასი)ლარით „.უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა“; 2000 (ორი ათასი) ლარით „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა“; 1500(ათას ხუთასი) ლარით „მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა“; 40 000(ორმოცი ათასი) ლარით, „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“; 13900(ცამეტი ათას ცხრაასი) ლარით გაიზარდოს „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ კერძოდ, 13900 (ცამეტი ათას ცხრაასი) ლარი მიიმართოს „სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შესაძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის ქვეპროგრამაზე“.

მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების 32000 ლარის შემცირების ხარზე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი რვა ა(ა)იპ-ის საქონელი და მომსახურების მუხლი ჯამში 32000 ლარით (თითოეული აიპის 4000 ლარი) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-IFSAS) სრული დარიცხვის მეთოდის დანერგვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით ბუღალტრული პროგრამების შეძენისათვის.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასვა საკითხი საშტატო ნუსხასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ საკითხი მოწესრიგებული იქნება. ამის შემდეგ შეეხო ბუნებრივი მოსაკრებლის თემას და თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ იქნებ მერიის შესაბამის სამსახურს დაევალოს შეისწავლოს გასულ წლებში ინერტული მასალების მოპოვებასთან დაკავშირებით, რა ოდენობის ბუნებრივი მოსაკრებელი უნდა შემოსულიყო ადგილობრივ ბიუჯეტში და რამდენი ლიცენზირებული კარიერია მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე. ამასთან, მერიის და საკრებულოს შესაბამისი სამსახურები და კომისიები დაინტერესდნენ, თუ რა ოდენობის თანხა შემოვიდა ადგილობრივ ბიუჯეტში აკეთის კარიერიდან, ხოლო მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მოაწოდოს განმარტება ამ საკითხის შესახებ. გარდა ამისა, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა, ჯარიმები -სანქციებიდან შემოსული თანხა მხოლოდ ვიდეოთვალის შედეგად დაფიქსირებული ჯარიმებიდანაა, თუ მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ დაკისრებული სანქციებიდან შემოსული ფინანსებიც შედის, რადგან მერიის ზედამხედველობის სამსახურს ამ მიმართულებით აქვს გარკვეული ფუნქციები. ის ასევე შეეხო ა(ა)იპ ლანჩხუთის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირების საკითხს და აღნიშნა, რომ თავის დროზე განხორციელდა ამ სკოლების გაერთიანება, რაც მისი აზრით, არასწორი ნაბიჯი იყო და ამ ხნის განმავლობაში ა(ა)იპ-ის თანამშრომლებს ერთი ლარითაც არ მომატებია ხელფასი, ახლა კი ხდება შრომის ანაზღაურების შემცირება. იქნებ ა(ა)იპ-ის მიეცეს უფლება ეს თანხა გამოიყენოს პრემიების სახით ან თავისი საჭიროებისამებრ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია, ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დაფინანსება 15000 ლარის ნაცვლად გაიზარდოს 20000 ლარამდე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ თავად ა(ა)იპ ლანჩხუთის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ მოთხოვნის საფუძველზე ხორციელდება აღნიშნული შიდა მონაცვლეობა და ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის თქმით, ეს თანხა ესაჭიროებათ გამათბობლების შესაძენად.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით დამატებით 850000 ლარის გამოყოფაზე და აღნიშნა, რომ სტიქია არის ბუნებრივი მოვლენა და მისი შედეგების ლიკვიდაციას დროული და ეფექტური აღმოფხვრა ჭირდება. ბოლო წლებში ჩვევად დამკვიდრდა, რომ მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხა ირიცხება მომდევნო წელში. ამასთან, ფინანსების გამოყოფა ყოველთვის ემთხვევა არჩევნებს. აქედან გამომდინარე მიაჩნია, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ 850000 ლარის გამოყოფა დაგვიანებულია. რაც შეეხება სახურავების თემას, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის თქმით, ამ საკითხთან მიდგომა ხდება პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, რის შესახებ განცხადება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზეც გააკეთა. აღნიშნულ თემაზე საკრებულოს ფრაქცია მუშაობს, რის შედეგადაც ცნობილი გახდება, რა კატეგორიის ადამიანებს გადაეცათ გადასახური მასალა და პოლიტიკური ნიშნის მიხედვით ვინ დარჩა დახმარების გარეშე. საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ბენეფიციარების უმეტესობამ, სიდუხჭირიდან გამომდინარე გაყიდა სახურავის მასალა, რადგან არ ქონდა საშუალება შეეძინა გადახურვისთვის საჭირო ხეობა. აქედან გამომდინარე, მან წამოაყენა წინადადება, რომლის მიხედვით უნდა გაერთიანდეს სახურავის და ხის მასალის გადაცემის საკითხები, რის შედეგად მოხდება სახლების გადახურვა. ამის შესახებ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზეც ისაუბრა, რამაც კოლეგების აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რადგან ზოგიერთის განცხადებით ამის ვალდებულება მუნიციპალიტეტს არ აქვს, მაგრამ როგორც საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, მათ აქვთ თანხის მიზნობრივად ხარჯვის ვალდებულება. ამის შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე, რომელთან დაკავშირებით გარკვეული საკითხები მისთვის ცოტა გაუგებარია, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ეს არის დელეგირებული უფლება-მოსილება. ამასთან, ყოველთვიურად ხდება ანგარიშის წარდგენა იმის მიხედვით, თუ რომელი სკოლა ფუნქციონირებს, რის შემდეგაც თვეების ანუ შესრულების მიხედვით ხდება ფაქტობრივად კონკრეტული ოდენობის თანხის ჩარიცხვა. შემოსავლების (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) ცალკეული სახეების კორექტირებასთან დაკავშირებით, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საგადასახადო ნაწილს ვერანაირად ვერ წარადგენს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, რადგან მასზე პასუხისმგებელია სამინისტროს შემოსავლების სამსახური, მაგრამ შიდა მონაცვლეობასთან დაკავშირებით შეზღუდულები არ არიან.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** ასევე შეეხო ბუნებრივი მოსაკრებლის საკითხს და აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, ზაზა ურუშაძის მერობის ან შემდგომ პერიოდში ბიუჯეტს ბუნებრივი მოსაკრებლიდან ფაქტიურად აკლია დაახლოებით 350000 ლარი. აუცილებლად გასარკვევია, ვის ქონდა იმ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლიცენზირებული კარიერი და ვინ არ გადაიხადა ბიუჯეტში თანხა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ის, რაზეც საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ ისაუბრა, შესწავლის საგანია და შესაბამისი დოკუმენტაციის გადამოწმების გარეშე რთულია რაიმე დასკვნების გაკეთება. მის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ერთადერთი ფირმის მონაცემები, რომელსაც 2014 წლიდან ქვიანის ტერიტორიაზე უნდა მოეპოვებინა ინერტული მასალა და შესაბამისად, შემოეტანა ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადი. პროცესში ჩართულია შესაბამისი სააგენტო და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ არ მომხდარა მოპოვება. აქედან გამომდინარე, მოხდა გადავადება და იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა წიაღისეულის ფაქტობრივი ათვისება, ფირმა გადახდას იწყებს 2021 წლიდან. რაც შეეხება საშტატო ნუსხას, მასთან დაკავშირებით ისარგებლეს საკრებულოს მიერ 2018 წელს მიღებული დადგენილებით. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ჯარიმები-სანქციებიდან შემოსულ თანხაში გარკვეული წილი მერიის შესაბამისი სამსახურების მომსახურების შედეგადაც შედის, რაც ძირითადად

დაკავშირებულია მშენებლობის კუთხით სახელშეკრულებო პირობების დარღვევასთან.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ დაახლოებით 300000 ლარამდე შემოსულია კომპანიებიდან, რომლებიც ამა თუ იმ პროექტებთან დაკავშირებით ვერ ეტეოდნენ ვადებში და არ ასრულებდნენ ხელშეკრულების პირობებს. ასევე, გარკვეული წილი არის მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან, მაგრამ ძირითადი ნაწილი სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული ჯარიმებიდან შემოსული თანხაა. გასული წლის დასაწყისში დაემატა ვიდეო კამერები, რის შემდეგ მოხდა შემოსული თანხის ზრდა. ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლა“-სთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ერთი ადგილი არის ვაკანტური, ხოლო ერთი თანამშრომელი გადავიდა საფეხბურთო აკადემიაში, შესაბამისად, სახელფასო კუთხით მოხდა თანხების გამოთავისუფლება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მიესალმება საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ზაზა წულაძის არჩევას, რის შემდეგ მიმართა მას, რომ ზედამხედველობის სამსახურის უფროსი მოიწვიოს სხდომაზე, რათა წარმოადგინოს კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ყავს მიმდინარე წლის განმავლობაში რომელიმე კომპანია დაჯარიმებული ინერტული მასალის არასწორი მოპოვების ან ლიცენზიის არ ქონის გამო.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** განმარტა, რომ ინერტული მასალის არასწორ ან არალიცენზირებულ მოპოვებაზე კონტროლს ახორციელებს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო და არა მერიის ზედამხედველობის სამსახური, ხოლო საგადასახადო ნაწილში - შემოსავლების სამსახური. არ შეიძლება ერთი და იგივე საკითხზე ორმა სამსახურმა განახორციელოს კონტროლი, რადგან მოხდება გაორება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **კახაბერ ასკურავას** აზრით, თუ მერიის ზედამხედველობის სამსახურს არ გააჩნია გაკონტროლების უფლება, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერმა პრემიერ მინისტრთან უნდა დააყენოს საკითხი, რომ ეს უფლება-მოსილება მიენიჭოს თვითმმართველობას, რადგან წიაღისეული სიმდიდრე გადის მუნიციპალიტეტიდან, შესაბამისად, იქედან შემოსული თანხა უნდა შედიოდეს ადგილობრივ ბიუჯეტში და მოხმარდეს მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ სოციალური ქსელიდან შეიტყო შპს სფერო ჰოლდინგის შესახებ, რომელიც სავარადუდოდ აპირებს გრიგოლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიზნეს-საქმიანობის დაწყებას. როგორც მისთვისაა ცნობილი, გრიგოლეთში მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შეჩერებულია მშენებლობის ნებართვების გაცემა. აღნიშნულ ჰოლდინგს ჯერჯერობით მხოლოდ ვირტუალური სახით უდევს ძალიან სერიოზული პროექტები სასტუმროების აშენებასთან დაკავშირებით. საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დაინტერესდა, ფლობენ თუ არა ამის თაობაზე ინფორმაციას კოლეგები. ასევე, კარგი იქნება, საკრებულოს მომავალ სხდომაზე კომპეტენტურმა პირმა წარმოადგინოს გარკვეული ინფორმაცია აღნიშნული კომპანიის საქმიანობის შესახებ. ასევე, გრიგოლეთში ჰოლდინგის სამომავლო გეგმების შესახებ-სად და როგორ აპირებს პროექტების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მიიჩნევს, რომ გრიგოლეთში ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში არასწორად ხდებოდა მიწების გაცემა, რის შედეგად ცენტრალური გზიდან შემავალ ჩიხებზეც კი საკადასტრო ნახაზები დევს. დარჩენილი იყო მიწის ორი ნაკვეთი, დაახლოებით 1500 კვმ-მდე ფართის ოდენობით, რომლის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზეც მიმართა შესაბამის სამინისტროს მცირე პარკის ან სტადიონის მოწყობის მიზნით, მაგრამ დღემდე თანხმობა არ მიუღიათ. მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს მიმართა, რომ აუცილებლად დაინტერესდება აღნიშნული საკითხით, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერი შეეხო ინერტული მასალების მოპოვების თემას და აღნიშნა, რომ დღეისთვის მუნიციპალიტეტში 20-ზე მეტი კარიერია, რომელზეც გაცემულია ლიცენზია. 7 თუ 8 კარიერი მხოლოდ ლესაშია, საიდანაც 2017 წლიდან ინერტული მასალის გატანა

ფიზიკურად არ მომხდარა. აკეთის კარიერი ფუნქციონირებდა 2014 -2017 წლებში, რის შემდეგ შეჩერდა. კარგი იქნება, თუ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოაწოდებს ინფორმაციას იმ პერიოდში ბუნებრივი მოსაკრებლიდან შემოსული თანხების თაობაზე. რაც შეეხება ჩოჩხათის კარიერს-სამი თვის განმავლობაში მუშაობდა, ლიცენზიას ვადა ქონდა სექტემბრის შუა რიცხვებამდე. ამის შემდეგ შეჩერდა ინერტული მასალის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ წარმოადგინა საბუთები, მუნიციპალიტეტის მიერ არაერთგზის იქნა ჩამოყვანილი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გურიის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები და ადგილზე მოხდა კოორდინატების შემოწმება, რასაც სავარაუდოდ მოყვება შესაბამისი რეაგირება. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, საკრებულოს ბიუროს სხდომაზეც ისაუბრა იმის შესახებ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან შემოვიდა წერილობითი მოთხოვნა, რათა ჩოჩხათში, კერძოდ სოფელ მოედანში, ავტობანის მშენებლობის მწარმოებელი კომპანიის მიერ კიდევ მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასალის მოპოვებაზე მიღებულიყო ნებართვა, ამასთან, აღნიშნული კომპანია გათავისუფლებულიყო ლიცენზიისგან, რაზეც მუნიციპალიტეტის მხრიდან ეთქვა უარი, რადგან ეს ტერიტორია გეოლოგიურად არამდგრადია, არის მეწყერსაშიში და მოსახლეობა უკიდურეს მდგომარეობაშია. მხოლოდ მიმდინარე წელს დაახლოებით 12 ოჯახზე გაიცა დასკვნა გასახლების შესახებ, რადგან საცხოვრებლად საფრთხის შემცველი იყო. როგორც მისთვისაა ცნობილი, ჯაპანის კარიერი ფუნქციონირებდა 2-3 წლის უკან, მაგრამ აქ მოპოვებული ინერტული მასალა, რომელიც უნდა მოხმარებოდა ავტობანის მშენებლობას, არ იყო ვარგისი, რის გამოც მოხდა მისი დაწუნება. ერთადერთი კარიერი, რომელიც ბოლო ოთხი წლის მანძილზე და მიმდინარე წელსაც 3-4 თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა, იყო ჩოჩხათის კარიერი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კარიერს აქვს ლიცენზია, მუნიციპალიტეტის მერს დღესაც მიაჩნია, რომ ეს იყო შეცდომა, რადგან ამის შედეგად ძალიან ზიანდება ადგილობრივი მოსახლეობა. მისთვის კარგადაა ცნობილი სოფელში თითოეული ოჯახის პრობლემა. იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია გეოლოგიურად არამდგრადია და ზიანდება სოფელი, მუნიციპალიტეტი სრულად იზიარებს მოსახლეობის პოზიციას. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, ოფიციალური წერილის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ მიეცა უარი და დასახელდა შესაბამისი მიზეზებიც, რომელთა შეცვლაც ფიზიკურად ვერ მოხდება. ყოველივე აქედან გამომდინარე, სამომავლოდაც მუნიციპალიტეტის პოზიცია იქნება უარი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** შესთავაზა მუნიციპალიტეტის მერს, რომ კარგი იქნება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს რიგით წევრებსაც თუ ჩააყენებენ საქმის კურსში, რათა ერთად აღუდგნენ წინ, ვინმეს კანონდარღვევით შემოსვლას.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, კონკრეტულ სიტუაციაში, როცა ზემდგომი ხელისუფლება აგზავნის ოფიციალურ წერილს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადექვატური პასუხი ასახავს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის, არამედ სოფლის და მაჟორიტარი დეპუტატის პოზიციებს. აკეთის, მამათის თუ ლესის კარიერებთან დაკავშირებით გაგრძელდება მოლაპარაკებები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად და თუკი მართლაც ახირების დონეზე არ არის და არ აზიანებს სოფლის მაცხოვრებლებს, მაშინ უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსის გატანა და მუნიციპლიტეტს შემოსავალი მოუტანოს. მაგრამ ინერტული მასალის მოპოვების შედეგად თუ დაზიანდება გზა, ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა ჩაიდოს პირობა აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებით, რადგან საერთო ჯამში ხორციელდება რამდენიმე მილიარდ ლარიანი სამუშაოები. იმ შემთხვევაში, როცა მოსახლეობას მიადგება ზიანი და ამის ფაქტები აშკარა გახდება, მაშინ მუნიციპალიტეტი და პირადად მერი, ამის წინააღმდეგი იქნება.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** შეეხო სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილ 850000 ლარს და გამოთქვა შენიშვნები, რომ ამ თანხაში სრულად არ არის გათვალისწინებული მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში სტიქიის შედეგად სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებული ყველა ობიექტი. კერძოდ, უნაგირას უბანი და ხიდმაღალაში ორი გზა, ხიდმაღალას სასაფლაოსთან შემავალი ქუჩა და ასევე მოუხრეშავი რამდენიმე გზა.

აგრეთვე, ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც დაიტბორა და მოსახლეობას მიადგა გარკვეული ზარალი. საკრებულოს წევრმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მოიკითხა ინფორმაცია სოფელ სუფსაში მაცხოვრებელი გივი მითაიშვილის შესახებ, რომელსაც სახლი დაეწვა, რაზეც სუფსის მაჟორიტარმა დეპუტატმა ია მოქიამ განუმარტა, რომ ზემოხსენებული პიროვნება ამზადებს დოკუმენტაციას, რომლის წარმოდგენის შემდეგ საკითხზე იმსჯელებს მუნიციპალიტეტის მერია. საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ სასურველი იქნება მის მიერ ჩამოთვლილი ობიექტები შევიდეს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩამონათვალში.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტს მიმართული ქონდა დაახლოებით სამ მლნ. ლარამდე, მაგრამ იმ პროექტებზე, რომლებიც არის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე და უკვე მოპოვებულია თანხა-850000 ლარი, ხელშეკრულებების გაფორმება უნდა მოესწროს მიმდინარე წელს. უკვე 2022 წლის ზამთრისთვის პროექტები იქნება მომზადებული და გაირკვევა, რომელი პროგრამის ფარგლებში მოხდება მათი შესრულება. კონკრეტულად რაც შეეხება სუფსას, რამდენიმე უბანში გზა ნამდვილად დაზიანებულია, რაც სტიქიის შედეგად არაა, რადგან ეს არის ორმოვანი გზები. წლების განმავლობაში ხდებოდა მათი მოხრეშვა, რაც ფაქტიურად წყალში გადაყრილი ფულია. უმჯობესია მაქსიმალურად შეეცადონ და ამ თანხებით მოხდეს გზების თუნდაც მცირე დონეზე მოასფალტება ან მობეტონება. მუნიციპალიტეტის მერის პოზიციაა, რომ უნდა მომზადდეს ისეთი ხელშესახები პროექტები, რომლებიც დარჩება მუნიციპალიტეტში და არ იქნება ერთჯერადი. მან ასევე განმარტა, რომ მრავალბინიანი სახლის და საცხოვრებელი სახლების სახურავის მასალების შეძენაზე და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დამწვარი სახლის რეაბლიტაციაზე მიიმართება 422977 ლარი. რაც შეეხება გივი მითაიშვილის საკითხს, წლის ბოლომდე მოხდება დოკუმენტაციის მოწესრიგება და შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოიგზავნება დასკვნა, თუ რამ გამოიწვია ხანძარი, რის შედეგადაც დაზიანდა რამდენიმე ოთახი, რათა შემდგომ მუნიციპალიტეტს მიეცეს თანხის გადარიცხვის საშუალება. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, არასდროს არ შეიძლება პოლიტიკური ნიშნის მიხედვით სახურავის მასალის დარიგება. დღეისთვის ამ კუთხით გათვალისწინებულია მცირე თანხა, რომლის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა 125 ოჯახზე, რომელთაც აქვთ უკიდურესი მდგომარეობა. გადაწყვეტილების მიღება კი ხდება ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენელსა და მაჟორიტარ დეპუტატთან კონსულტაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ფაქტიურად ყველა ოჯახი ითხოვს სახურავის მიცემას. მისთვის ცნობილი გახდა ისეთი ფაქტის შესახებაც, როცა რამდენიმე პიროვნებამ ქარიან ამინდში სპეციალურად ააძრო სახლს სახურავი. არა მარტო ამ თემასთან დაკავშირებით, არამედ არც ერთ საკითხთან მიმართებაში არასდროს ნამდვილად არ ექცევა ყურადღება, ვინ ვისი მხარდამჭერია, მაგრამ ამ კუთხით ათასობით განცხადება შემოდის, რასაც ფიზიკურად ვერ დააკმაყოფილებენ. ძალიან კარგი იქნება, რომ მოსახლეობას გაუწიონ სახლის გადახურვის მომსახურებაც, მაგრამ ამის ფინანსური რესურსი მუნიციპალიტეტს ფიზიკურად არ გააჩნია. გარდა ამისა, მუნიციპლიტეტს და მათ შორის, თითოეულ მათგანს სხვა ვალდებულებებიც აკისრიათ, რომელიც ასევე აუცილებლად მოსაგვარებელია. ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამახვილა გრიგოლეთთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თავის დროზე გრიგოლეთის განაშენიანება იმდენად ცუდად მოხდა, რომ ფაქტიურად წყლის გასასვლელი არსად არ არის დატოვებული. სოფელ გრიგოლეთში სასტუმრო „ლაშთართან“ არ ხდება წყლის გაწოვა. ამ ტერიტორიაზე საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადდა ტენდერი, რათა სასტუმროს ტერიტორიიდან მშრალი ხიდის მიმართულებით მოხდეს წყლის გადინება. ამ მიზნით მოეწყობა ნამატი წყლის კოლექტორი, რის შემდეგაც თუ არ მოხდა წყლის განტვირთვა, მაშინ სხვა გზები იქნება მოსაძებნი, რადგან არის კატასტროფული მდგომარეობა, რომელიც იქმნებოდა წლების განმავლობაში და არა სტიქიის შედეგად. აქედან გამომდინარე, სიტუაცია ეტაპობრივად უნდა მოწესრიგდეს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი** გამოეხმაურა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადებას და აღნიშნა, რომ

პოლიტიკური ნიშნის მიხედვით ნამდვილად არ ხდება გადასახური მასალის დარიგება. პირიქით, თამამად და დიდი სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ არასდროს არ მომხდარა ადამიანების გამორჩევა ამ კუთხით. მან მიმართა კოლეგას, რომ თუკი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისინი შექმნიან სამუშაო ჯგუფს, სიამოვნებით ჩაერთვება და მონაწილეობას მიიღებს ჯგუფის მუშაობაში. ამის შემდეგ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოში გაერთიანებულია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წამომადგენლები. ამასთან, პოლიტიკური სიტუაცია საკმაოდ პოლარიზებულია, მაგრამ ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ეს არის ლანჩხუთი, სადაც ერთმანეთთან ოჯახებით, შვილებით მეგობრობენ და ახლოს არიან. პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრებისგან არასდროს არ ყოფილა გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენლების მიმართ. სოციალურ ქსელში იქნება ეს თუ სხვაგან, ღებულობენ შენიშვნებს, სამართლიან კრიტიკას, მაგრამ თხოვნაა, ადგილი ნუ ექნება შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **ნინო მშვიდობაძე** გამოეხმაურა სახურავის თემას და აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული დაახლოებით 290 სახლი გადაიხურა ერთ კვირაში და არავის არ უკითხავს, ვინ რომელი პარტიის მხარდამჭერი ან წარმომადგენელი იყო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ არ ახსოვს 2017 წლიდან- ალესაქნდრე სარიშვილის მუნიციპალიტეტის მერად მოსვლიდან დღემდე სტიქიასთან დაკავშირებით საკრებულოს და მერიის წარმომადგენლების შეკრებაზე რაიმე სახის მინიშნება ყოფილიყო ადგილობრივად ან ზემდგომი ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური შეხედულების მიხედვით მოქალაქეების გარჩევასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის არც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში არ მომხდარა ამ კუთხით ადამიანების დაყოფა. არ არის გამორიცხული, რომ შეიძლება ადგილი ქონდა ერთ-ორ შემთხვევას, როცა ესა თუ ის პიროვნება გამორჩათ. ძალიან ცუდია, როცა შეჭირვებული ადამიანი დარჩება დახმარების გარეშე, ამიტომ უნდა ეცადონ მეტი სახსრები მოიძიონ, რათა შეძლებისდაგვარად ყველას გაეწიოს სათანადო დახმარება, ამასთან სახურავის მასალის მიცემასთან ერთად მოხდეს უშუალოდ სახლის გადახურვაც, რადგან მძიმე მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგიერთმა გაყიდა გადაცემული მასალა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ემზარ თევდორაძის** განცხადებით, ოპოზიციის წამომადგენლები ყურადღებას არ ამახვილებენ პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ იმ მომხრეებთან დაკავშირებით, რომლებიც სტიქის შედეგად დაზარალდნენ, მაგრამ ვერ გადასცეს გადასახური მასალა და არ გაეწიათ გარკვეული დახმარება. მან ასევე აღნიშნა, რომ მიესალმება პოზიტივს, ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, ჯანსაღ დისკუსიას, დებატებს და კონსტრუქციულ თანამშრომლობას, მაგრამ არა შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ აბსოლიტურად ეთანხმება და მიღებულია შენიშვნა. ასევე მიესალმება საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოზიციას, მაგრამ როდესაც პირადად მის მიმართ ხდებოდა ანალოგიური, მაშინაც უნდა გამოეხატა ასეთი მიდგომა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **კახაბერ ასკურავას** აზრით, გამჭვირვალობის კუთხით უპრიანი იქნება შეიქმნას კომისია, სადაც იქნებიან ოპოზიციის წარმომადგენლებიც. კომისიური წესით როცა მოხდება თითოეულ ოჯახთან დაკავშირებით მსჯელობა და ოპოზიციაც აიღებს ამ კუთხით თავის წილ პასუხისმგებლობას, მაშინ ასეთი ეჭვის საბაბიც აღარ იარსებებს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ სახურავების თემა საკამათო საკითხია და მასთან მიდგომა სასურველია შეიცვალოს და თუნდაც კომისიური წესით მოხდეს ბენეფიციარების შერჩევა,

რადგან არსებობს ეჭვები, რომ ასეთი დაპირებების გაცემა ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ სახურავის მასალა როცა ჩამოვიდა, დაასაწყობა, სპეციალურად არც დაარიგა და არც დაპირებები გაუცია, რადგან ეს არ ყოფილიყო გამოყენებული წინასაარჩევნო ქმედებად. ამის შესახებ ოპოზიციას ნებისმიერ დონეზე შეუძლია მოიკითხოს და გადაამოწმოს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ყურადღება გაამხვილა გზების რეაბილიტაციის საკითხზე იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის მითითებული კონკრეტულად სად კეთდება გზა და რომელ დაზიანებულ უბნებზეა საუბარი. მან ასევე აღნიშნა, რომ ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია სუფსაში სახლების გადახურვა და დამწვარი სახლის აშენება, ასევე კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაც, რადგან რაც კეთდება, იმასთან დაკავშირებით მადლობის თქმაც უნდა ხდებოდეს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** განცხადებით კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პროექტი და მიზანშეწონილად ჩათვალა დაეჭირა მხარი აღნიშნული საკითხისთვის.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N28 (16.12.2021)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

16 დეკემბერი **2021** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 [illegible]	
2	ემზარ თევდორაძე	12 00	
3	ვერიკო კვირკველია	12. 00	
4	გიორგი ჩახვაძე	11 50	
5	გიორგი ხელაძე	11 55.	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი		
10	ია მოქია	12:00	
11	კახაბერ ასკურავა	12:00	
12	მაკა მშვიდობაძე	11:55	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11:55	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:50	
16	ნინო მშვიდობაძე	11:50	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11.54	
19	გიორგი გოგუაძე	11 55	
20	გოჩა ჯანაშია	11 50 50	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 —	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	12 58	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე		
25	ირმა მგელაძე	11-50.	
26	გივი ცინცაძე	12:00	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11.50	